რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

თავ. მელიტონ გლახას ძე მიქელაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის დედისა

კნეინა მეტია მიქელაძისას,

(დაბადებით თავადის ასული მიქაძისა)
სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ განსვენებულის დაკრძალვაზედ **შაბათს, 12 ივლისს, დილის 10 საათზე, სოფ. წილორში.**
პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოველ დღეა.
(2—1)

რუსულ-ქართული
ლექსიკონი
თ. სახოკიასი
ფასი ერთი აბაზი
ისყიდება საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში.
(8—4)

სასტუმრო და რესტორანი
„პურ-ღვინო“
გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბის ქვეშ.
მეგობრული მასლაათი

— გამარჯვება შენი! კაცო, რომ გაგასუქა ასე? ნეტა რასა სჭამ?
— საქმეც ეგ არის და! ვჭამ და ვსვამ, რაც-კი საუკეთესო რამ არის ტფილისში: სუფთა, გემრიელი და ნოყიერი საჭმელი, სასმელი გრილი და საუცხოვო, მოსამსახურე მარდი და ზრდილობიანი, ჰავა მშვენიერი, მოწყობილობა საგანგებო და მასპინძელი იმისთანაა, რომ სულში ჩაისვამ, მუდამ მხიარული, გულ-გაშლილი და თავაზიანი!,. აბა, რა თქმა უნდა, რომ ამისთანა საჭმელ-სასმელი ხორცსაც შეერგება და სულსაც აამებს!..
— მერე სად გიპოვნია ესეთი სამოთხე?
— სამოთხე-კი არა, მაგრამ სასიამოვნო ბევრია: მე „პურღვინოზე“ მოგახსენებ...
— ალბად საშინელი სიძვირე იქნება!..
— რის სიძვირე, რას ბრძანებ? აბა ქვემოდ ჩაათვალიერე და თვით დარწმუნდი, არის სადმე ტფილისში ისეთი სიიაფე საჭმელ-სასმელებისა, როგორც „პურ-ღვინოში“?

ნიხრი სადილებისა:

4 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . 1 მან.
3 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . 80 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . 60 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, 1 ბაკალი ღვინო (ანუ კრუშკა ლუდი) . . . . 40 კაპ.

ნიხრი სასმელებისა:

1 რუმკა არაყი სმირნოვისა, შტრიტერისა, პოპოვისა და სარაჯიშვილისა . . . . 5 კაპ.
1 რუმკა კონიაკი, ზუბროვკა, მწარე ინგლისური და ჰაჰისა 10 კაპ.
1 ბაკალი ღვინო 5 კაპ., ერთი კრუშკა ლუდი . . 5 კაპ.
1 ბოთლი ღვინო „კახეთის“ ამხანაგობისა 40 კაპ.-დან, ნახევარი ბოთლი 20 კაპ.-დან, მუხრან-ბატონისა 40 კაპ.-დან. ჯორჯაძისა 35 კაპ.-დან, თავ. გ. ჭავჭავაძისა 30 კაპ.-დან, ნახევარი ბოთლი 15 კაპ.-დან;
ლუდი ვეტცელისა ბოთლი 15 კაპ., ბოვარიის კვასი ბოთლი 15 კაპ., ლიმონადი, გრუშოვი, სოდოვოი, სიფონი და სხვა ბოთლი 10 კაპ.;
ჩაი და რძე 5 კ. სტაქანი. ყავა სტაქანი 10 კაპ.

◆◆ სამზარეულო საგანგებო, ხორაგი ახალი. ◆◆
საჭმლები ევროპიული და ადგილობრივი (ყოველ დღე ღამე)
!!ფასი ყველაფერზე ზომიერი, სისუფთავე და წეს-რიგი საგანგებო!!
იქვე ცალკე დარბაზში გამართულია 5 ფრეიბერგის ბილიარდები—ფასი საათში 30 კაპ.
ნარდი და ჭადრაკი საათში დღისით 15 კაპ. ღამით 20 კაპ.
→ სასტუმროში არის მრავალი მორთული და მოწყობილი ოთახები ←
ფასი თვითო ნომრისა დღე-ღამეში, 40 კაპ.—1 მ. 50 კაპ—მდე, თვეობით 10—30 მანათამდე. „პურ-ღვინოს“ უპირველესი სურვილი და წადილი არის: სიწმინდე, თავაზიანობა და პატივისცემა.
დავშთები საზოგადოების მარად პატივისმცემელი **იაგორ მამინაიშვილი.**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

7 ივლისი.

ნიჟნი ნოვგოროდი. აზნაურმა პავლე ივანოვმა მოიგონა ისეთი სითხის შედგენილობა, რომლის შეწეობითაც ადვილად შეიძლება ცეცხლის ჩაქრობა. აქ ორჯელ გამოსცადეს ხსენებული სითხე გემის პატრონთ, ნავთის მწარმოებელთ და გზათა უწყების წარმომადგენელთა: იმის წყალობით აქრობდნენ წაკიდებულს ნავთს და ორჯელვე შედეგი სამაგალითო გამოდგა. ბევრმა უკვე იყიდა ამ სითხის შედგენის საიდუმლო. სითხე ღირს ვედრო 4 კაპეიკი.

კონსტანტინეპოლი. დანიშნული 6 ივლისისათვის სამხედრო აგენტების კრება არ შესდგა, რადგანაც ოსმალეთის სამხედრო დელეგატი არ გამოცხადდა. შემდეგ უნდა მომხდარიყო მე-10 კრება თოფხანაში ზავის პირობების შესახებ მოსალაპარაკებლად. ელჩებმა დიდ-ხანს უცადეს გარეშე საქმეთა მინისტრის თევფიკ-ფაშის მოსვლას, რომელიც ამ დროს ილდიზ-კიოსკში იყო, და შემდეგ მოსალაპარაკებლად ავსტრიუნგრეთის საელჩოში შეიყარნენ, სადაც მალე მოვიდნენ: გარეშე საქმეთა მინისტრი კრებაში მონაწილეობის მისაღებად და გენერალ ფელდცეიხმეისტერი ზექი-ფაშა საგანგებო მინდობილებით. მიუხედავათ გარეშე საქმეთა მინისტრის უკანასკნელ განცხადებისა, გუშინდელ კრებაზე ოსმალეთის მხრივ მაინც ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას სამზღვრის საქმეში. მაშინ ელჩებმა მოსთხოვეს წერილობითი განცხადება დადებულის საზღვრის მიღების შესახებ. ელჩები ძალიან უკმაყოფილონი არიან, საერთოდ, ოსმალეთის მთავრობის ყოფაქცევისა და კერძოთ იმისა, რომ დღეს დიდ ხანს აცდევინეს.

მიუხედავად უკანასკნელის ხრიკებისა და ჟურნალ-გაზეთების მითქმა მოთქმისა, რომელნიც, უწინდელებრ, სამზღვრის პენეზე გაყვანას თხოულობენ, ელჩთა წრეებში იმედი აქვთ, რომ ზავი მალე იქმნება შეკრული, თუმცა სხვა და სხვა დაბრკოლებას კიდევ მოელიან.

ახალი ამბავი

⁂ **გრაფის ზიჩის მოგზაურობა საქართველოში.** უკანასკნელს ვოლფის გამოცემაში, ჟურნალ „ნოვ“-ში, მოთავსებულია პატარა წერილი სათაურით „გრაფი ზიჩი კავკასიაში“, ვ. ჩერნოვისა. ამ წერილიდან სჩანს, რომ ამ ცოტა ხანში გამოსულა ვეებერთელა წიგნი ფრანგულს ენაზე, თხზულება გრაფის ევგენი ზიჩისა; წიგნში მოთხრობილია, თურმე, დაწვრილებით თვითონ გრაფ ზიჩისაგან მოგზაურობა მისი კავკასიაში და შუა აზიაში. წიგნი ამასთანავე დასურათებულია მრავალის ნახატებით ჩვენის ცხოვრებიდან.

უექველია, ბევრს ეხსომება, რომ ამ სამიოდ წლის წინად ტფილისში ჩამოვიდა გრაფი ზიჩი, რომელიც მოგზაურობდა კავკასიაში. საგანი ამ მოგზაურობისა, გრაფის სიტყვით, ის იყო, რომ გამოეკვლია, თუ საიდან წარმოსდგებიან ეხლანდელი უნგრეთელნი. მეცნიერებას დღემდე ვერ გამოუკვლევია, თუ საიდან, ან რომელ ტომიდან წარმოსდგებიან ეხლანდელი უნგრეთელნი, რომელნიც ათასს წელიწადზე მეტია, რაც დასახლდნენ ეხლანდელს უნგრეთში მდინარე ტისასა და დუნაის ვაკეთა შორის. ზოგნი უნგრეთელს ოსმალოს ერს აკუთვნებენ, ზოგნი გუნებს, ზოგნი კიდევ კავკასიის ტომს და სხვა.

თვითონ გრაფი ევგენი ზიჩი ეკუთვნის უნგრეთის ერთს უძველესს გვარეულობას; იგი დიდი მებატონეა უნგრეთში და სახელმწიფო სამსახურში იოვლება (მაგნატია). საქართველოში ყოფნის დროს, სხვათა შორის, გრაფი ზიჩი ესტუმრა აწ განსვენებულს თავ. გიორგი ივანეს ძე ციციშვილს ხვედურეთში და ერთი კვირა დაჰყო ციციანთში. გრაფი ზიჩი იმ აზრისაა, რომ ჩვენებურნი ციციანნი და უნგრეთელთა ზიჩები ერთისა და იმავე სახლობიდან უნდა იყოს. ციციანი, ანუ როგორც გრაფი ამბობს, ზიჩიანნი, ძველი დროის გვარეულობა არისო და, ეჭვი არ არის, რომ უნგრეთელთა და ქართველთა შორის რაღაც კავშირი უნდა ყოფილიყოს ძველს დროშიო და სხვა.

როგორც ზემოდ ვსთქვით, გრაფის ზიჩის წიგნი დასურათებულია მრავალის ნახატებით (თვითონ ზიჩისაგან გადაღებულ ფოტოგრაფიულის სურათებით). სხვათა შორის, ხსენებულს სურათებში მოთავსებულია ის სურათიც, როცა ზიჩი ხვედურეთში იყო სტუმრად ციციანთ შორის. ამ სურათზე მრავალი ჩვენი ნაცნობი ციციანნი არიან თავიანთ სახლობით გადაღებულნი, თვით გრაფი ზიჩი და მისი მასპინძელი, აწ განსვენებული თავ. გიორგი ციციშვილიც თვისის სახლობით.

სასურველია, გრაფი ზიჩის წიგნიდან ფრანგულის ენის მცოდნეთაგან გადათარგმნილ იქმნას ყველაფერი საქართველოს შესახებ, მით უფრო, რომ, როგორც სჩანს, გრაფი ზიჩი ბევრს საგულისხმო რასმე სწერს საქართველოზე და ქართველებზე.

⁂ **საფრანგეთის სტუდენტების მოგზაურობა რუსეთში.** როგორც გაზ. „მირ. ოტ.“ გვატყობინებს, პეტერბურგში მოელიან 42 საფრანგეთის სტუდენტებს და პროფესორ

ქტორ მელიეს. პეტერბურგში დაჰყოფენ 3—4 დღეს, შემდეგ გაემგზავრებიან მოსკოვში, სადაც 3—4 დღეს დარჩებიან; მოსკოვიდგან ნიჟნი-ნოვგოროდში გაემგზავრებიან, დაათვალიერებენ იარმუკას და მერე გასწევენ კასპიის ზღვისკენ; ჩამოვლენ ბაქოში, სადაც გაიცნობენ ადგილობრივ ნავთის წარმოებას და გაემგზავრებიან ტფილისში. აქედგან სამხედრო გზით კავკავში, შემდეგ მადნების წყლებზე, როსტოვში, ტაგანროგში, ხარკოვში, მოსკოვში, პეტერბურგში და აქედგან სამშობლოში დაბრუნდებიან.

⁂ **მთავარ-მართებლის თანაშემწის ჩამოსვლა ტფილისში.** დღეს 9 ივლისს კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე კოჯორიდან ჩამოვიდა და მიიღებს ყველა მთხოვნელებს სამსახურის წარმომადგენლებს დილის ათ საათიდან მთავარ-მართებლის სასახლეში.

⁂ **პროექტი სასოფლო-სამეურნეო გამოსაცდელ სადგურების დაარსებისა.** გაზ. „მირ. ოტ.“ ატყობინებენ, რომ უკვე არსებობს პროექტი სასოფლო სამეურნეო გამოსაცდელ სადგურების დასაარსებლად. ამ სადგურებს ექნებათ საზოგადო-აგრონომიული და სპეციალური ხასიათი (მაგალ: სელის, ღვინის, რძის, აბრეშუმის და სხვ. წარმოებისა) პირველი, საზოგადო-აგრონომიული, ხასიათის სადგურები გამართულ იქნებიან უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებთან.—მეორენი იმ ადგილებში, სადაც ესა თუ იმ წარმოებას აქვს დიდი მნიშვნელობა მკვიდრთა ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ სადგურებში უნდა დაარსდეს სპეციალური ლაბორატორიები და კაბინეტები. გარდა ამისა, კიდევ უნდა გაშენდეს საცდელი მინდვრები. ხსენებული სადგურები შეუდგებიან აგრეთვე მეტეოროლოგიურ გამოკვლევას და სხვა.

⁂ **აბრეშუმის თესლის ღირსება.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებს ლენქორანიდგან ამავე საზოგადოების წევრი ბ. ზელინსკი შემდეგს საყურადღებო ამბავს: ბარონ ბორის ტიზენჰაუზენმა წრეულს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებიდგან გამოიწერა ერთი მისხალი აბრეშუმის თესლი, რომელმაც მოუტანა ოცდა-თხუთმეტი გირვანქა აბრეშუმის პარკი, რაიცა ჩვენში ძალიან იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ხალხი ძალიან დაინტერესებულია ამ მაგალითით და სურთ გაიგონ, სადაურია ეს ჭიის თესლი და ან მისი პარკები რომელი ხარისხისაო.

⁂ **რკინის გზის სამმოსვლო მმართველობის გადატანა მეორე სადგომში.** ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ თუმცა ამ სამის წლის წინედ საკუთარი სახლი აიშენა, სამმოსვლო მმართველობას სულ არ ეხერხება მუშაობა, რადგან მეტად შევიწროებულია. ამიტომ ეს ნაწილი მმართველობისა გადატანილ იქნება ელიზავეტინის ქუჩაზედ, ასათიანის სახლებში.

⁂ **საქონლის ჭირი ტფილისში.** რადგანაც ტფილისში უკვე აღმოჩენილა საქონლის ჭირი, რომელმაც პირველ ივლისამდე იმსხვერპლა 19 სული საქონელი, ეჭვს გარეშეა, რომ ტფილისიდან, როგორც სავაჭრო შუაგულ ადგილიდგან კავკასიაში, ეს სენი გავრცელდება თითქმის მთელს ამიერ-კავკასიაში, თუ სასტიკი ღონისძიება არ იქნება მიღებული საწინააღმდეგოდ. ამიტომ კავკასიის სამკურნალო მმართველობამ მიჰმართა თხოვნით ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს, რომ მან აიძულოს ქალაქის გამგეობა, მიიღოს დაუყოვნებლივ სასტიკი საბეითალო ღონისძიებანი ქ. ტფილისში, რისთვისაც საჭიროა გაამრავლოს ბეითალების რიცხვი.

⁂ **გაზეთ „ტფილისის ფურც.“ რედაქტორის სამართალში მიცემა.** ტფილისის რკინის გზის ჟანდარმების უფროსმა განაცხადა საჩივარი გაზ. „ტფ. ფურც.“ რედაქტორ ი. გ. ხიჩატუროვზედ, რომელსაც ბრალსა სდებს 1039 წესდ. იმ ორ შენიშვნაზედ, რომელიც მოთავსებული იყო № 137 „ტფ. ფურცელში“ პირველ შენიშვნაში აწერილი იყო შემდეგი გარემოება: მატარებლის კონტროლმა მგზავრების ბილეთების გასინჯვის დროს აღმოაჩინა რომ I კლასის კუპეში ზის ბათომის ჟანდარმების პოლიციის უფროსი შტაბს-როტმისტრი ბ. იაზიკოვი და მასთან ერთი ქალი. უკანასკნელს ჰქონდა მესამე კლასის ბილეთი; კონტროლმა გამოუცხადა ქალს, რომ ის ან უნდა მესამე კლასში გადავიდეს და ან მისცეს ზედმეტი ფასი პირველი კლასის კუპესი. რადგან ორთავე წინადადებაზე კონტროლმა უარი მიიღო, მან შეადგინა ოქმი და ბ. იაზიკოვს უნდა გადეეხადნა პირველი კლასის კუპეს 5 ადგილის ფასი ერთი-ორად. იაზიკოვმა სანამ კონტროლი მივიდოდა კუპეში, განკარგულება მოახდინა რომ კონტროლი არ შევიდეს კუპეში, რადგან მე თან მომყავს „შესანიშნავი პოლიტიკური დამნაშავე ქალიო“.

მეორე შენიშვნაში გადმოცემული იყო შინაარსი ყვირილის ნაწილის მომრიგებელი მოსამართლის განაჩენისა უკანონოდ და ნება დაურთავად დინამიტის შენახვაზედ რკინის გზის ოსტატისაგან.

ეს საქმეები გაირჩევიან ენკენისთვეში სამოსამართლო პალატაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ საჩივარში ბ-ნ ხიჩატუროვს გაამართლებენ, რადგან შენიშვნაში ტყუილი არა ყოფილა-რა.

⁂ **თავ. ნ. დიასამიძის და თავ. გ. თუმანიშვილის საქმე.** ოლქის სასამართლოში „ნოვ. ობოზ.“-ს რედაქტორმა ბ. ვ. მ. თუმანოვმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენზედ, რომლითაც თ. დიასამიძე,—რომელსაც თ. თუმანიშვილი უჩივოდა დაჭრას წინად მოფიქრებულის აზრით, — სასამართლომ უბრალო დამნაშავედ იცნო.

⁂ **ყალბი ოქროს ფულის გასაღება.** 6 ივლისს, ტფილისში შეპყრობილ იქმნა ხუთ მანათიანი ოქროს გამსაღებელი. ფული ყვითელ თითბრიდან (ბრონზა) არის ჩამოსხმული. როგორც ამბობენ, ამ გვარი ყალბი ფულის ქარხანა საზღვარ გარედ იმყოფებაო.

⁂ **ქარხანა ყალბი ფულებისა ტფილისში.** 5 ივლის სასამართლოს გამომძიებელმა ბ. მოსკალიოვმა ბოქაულ გლებოვის დახმარებით აღმოაჩინა ტფილისში ქარხანა ყალბი მანათიანი, ხუთმანათიანი და თუმნიანი ბილეთებისა. ამ წლის იანვარში ბ. პოლიცმეისტერს მოუვიდა ცნობა, რომ ერევანში დატყვევებულ იქმნა ყალბი ბილეთების გამსაღებელი. ამასთანავე ატყობინებდენ, რომ ქარხანა არსებობს ტფილისში, საიდგანაც გააქვთ გასასაღებლად სხვა ადგილებშიო. ბ. პოლიცმეისტერმა ამ საგნის გამოკვლევა მიანდო ბოქაულს გლებოვს, რომელმაც დანამდვილებით გაიგო, რომ ქარხანა ნამდვილად ტფილისში არსებობს და საქმის მეთაურად ითვლება მილიციის პრაპორშჩიკი თათარი ზ—ოვი. გლებოვმა უკანასკნელს გაუჩხრიკა სახლი, მაგრამ იმ ხანად საეჭვო ვერა უპოვა-რა. 5 ივლისისთვის უკვე გაიგეს, თუ სად ინახებიან მანქანები ბილეთების მოსაჭრელი იარაღები და ამავე დღეს გამომძიებელმა ბ. მოსკალიოვმა გაიყოლა ბ. გლებოვი ზ—ოვის სახლში და დაიწყეს ჩხრეკა. აღმოჩნდა, რომ საქმე სამაგალითოთ ჰქონიათ მოწყობილი ტეხნიკურის მხრივ. მათს ბილეთებს დაუხელოვნებელი კაცი ვერ შეატყობდა სიყალბეს, იპოვეს მრავალი დამზადებული და დაუმზადებელი ბილეთები ხუთმანათიანი ფასისა გარდა მანქანების და საჭირო იარაღებისა. სახლის პატრონი პრაპორშჩიკი ზ—ოვი გავარდა მეორე ოთახში, საიდგანაც მჩხრეკავებს მოესმათ თოფის ხმა. შევიდნენ ოთახში და დაინახეს ზ—ოვი რევოლვერით ხელში. კითხვაზედ, ვინ გაისროლა თოფიო, ზ—ოვმა მიუგო, რომ „მე თავი უნდა მომეკლაო.“

გამოძიების შემდეგ ზ—ოვი და მასთან მცხოვრები მისი სამი ძმა დაატუსაღეს მეტეხის ციხეში.

⁂ **საშინელი სიცხეები.** გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით ყიზლარში წარსულ ივნისს ისეთი სიცხეები იყო, რომ ხუთი კაცი მომკვდარა სიცხისაგან.

⁂ **ჩანგის II ტომი.** ბ-ნს ვას. აბაშიძეს დასაბეჭდად დაუმზადებია „ჩანგის“ II ტომი. როგორც მკითხველებმა იციან, ამ წიგნის I ტომი ამ ხუთის წლის განმავლობაში სამჯერ დაიბეჭდა და სულ გაიყიდა, ისეთი მოთხოვნილება ჰქონდა. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ წიგნი საინტერესოდ იყო შედგენილი და ყველა ნაირს მკითხველს აკმაყოფილებდა. ეტყობოდა, ავტორს შეეგნო ჩვენებურის მკითხველის გემოვნება. ეს საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ ჩანგის II-ტომიც ასე საინტერესოდ იქნება შედგენილი.

⁂ **სამკურნალო აგარაკი თუაფსეში.** საფრანგეთის კომპანია „სავაჭრო კავშირი“ შუამდგომლობს რუსეთის მთავრობასთან, რომ ნება დართონ იჯარით 50 წლით აღებაზე კარგა დიდი ნაჭერი მიწისა თუაფსეს მახლობლად, შავი ზღვის ახლოს, სადაც კომპანია გააკეთებს დიდს სამკურნალო აგარაკს (კურორტს). ამ საქმისთვის კომპანიას განზრახვა აქვს დახარჯოს ორ მილიონ მანათზე მეტი. თუ მთავრობამ ნება მისცა, აგარაკის გაშენებას, თურმე, ახლო მომავალში შეუდგებიან.

⁂ **„ისევ და ისევ“ მეფურნეებზე.** ყველასათვის ცხადია, რომ „პური ჩვენი არსებისა“ ერთი იმ მიუცილებელ სურსათთაგანია, ურომლისოდ არ შეუძლია გაძლება არც დიდს და არც მცირეს. ასეთს მიუცილებელ საზრდო-საკვებს თუ რა გვარი სიფრთხილით, სიფაქიზით და სისუფთავით ეპყრობიან ამ კურთხეულ ტფილისში, მგონი, ყველამ არ იცის.

მართალია, როცა პურს ვყიდულობთ, გარეგნობით მაინცდამაინც ვერაფერ ნაკლს ვამჩნევთ და ისე გვგონია არც ავნებს ჩვენს ჯანმრთელობას, მაგრამ კარგად რომ ჩავუკვირდეთ იმ უსუფთაობა-სიბინძურეს და უვარგისობას პურისას, დავინახავთ, რომ დიდს ზიანს გვაძლევს ნელ-ნელა და შეუმჩნევლად!.. შეუძლებელია ყოველ მეფურნეს ყარაულად სანიტარები დაენიშნოს და მით აეკრძალოსთ სხვა-და-სხვა ნარეცხების წყლით, დიდი ხნის გაურეცხელ-აყროლებული ბოჭკაში და უსუფთაო ხელებით პურის ზელა ტფილისელ მეფურნეებს, მაგრამ გაფრთხილება, და „დაშინებათა“ ცოტად თუ ბევრს სარგებლობას მაინც მოუტანს!.

ამიტომ ურიგო (ურიგო-კი არა, ამის და მთაწმინდის მაწანწალა ძაღლების გაწყვეტის უკეთესს ვერაფერს იქმს ქალაქის გამგეობა.) არ იქნება, რომ ამ ღირს-შესანიშნავ გარემოებას ფიცხელი ყურადღება მიაქციოს ქალაქის გამგეობამ და ჯეროვანის სისუფთავით მოაწყოს პურის ცხობის საქმე ქალაქში. ადგილობრივი რუსულ-ქართული გაზეთები შევაწუხეთ, რომ გვიშველეთ რამე და მთაწმინდის ძაღლებიდან გადაგვარჩინეთო, მაგრამ ბრძენ ოსმალეთის ომს-კი ეშველა შეჩერება და ჩვენსა და ძაღლების ხროვის ბრძოლას და მათგან შეწუხებას კი ვერაფერი ეშველა.

უმორჩილესად ვსთხოვთ ჩვენს „სენატორებს“ ან „სანეტაროებს“ რომ ამ ჩვენი ჩივილისათვის მაინც ყური გაიბერტყონ ნუ მიცემენ დავიწყებასა შინა, რამე თუ ცოდო არის...

40-ძე.

⁂ **ბათომი, დიდის მთავარის ალექსანდრე მიხეილის ძის მეუღლითურთ მობრძანება.** 5 ივლისს, სამხედრო გემით „ერიკლიკით“ ბათუმში მობრძანდნენ დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე.

პირველი საათის დასაწყისში გემი „ერიკლიკი“ შევიდა ბათომის ნავთ საყუდელში და სწორედ დილის $2^1/_2$ საათზედ გაჩერდა რუსეთის საზოგადოების გემთ-სადგომთან. გალლერეიაში უმაღლეს მგზავრებს უცდიდა საგანგებო მატარებელი, მორთული ყვავილებით და ნაციონალური ბაირაღებით.

უმაღლესმა მეუღლეებმა ისაუზმეს გემზედ და $12^3/_4$ საათზედ დღისით გადავიდნენ მატარებელში, რომლითაც წაბრძანდნენ ბორჯომში.

მათ მისაგებებლად ნავთ-საყუდელთან შეგროვდნენ სხვა-და-სხვა თანამდებობის პირნი: თანაშემწე სამხედრო გუბერნატორისა, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი, პოლიცმეისტერი, ნავთ სადგურის კაპიტანი და სხვ. ადმინისტრაციების მოხელენი. ხალხი ბლომად მიეგება უმაღლესს სტუმრებს.

⁂ **რაგვარი ცოდნა უფრო გვეჭირდება ქართველობას?** (პასუხად ბ. გ. გვაზავას.) დიდად მესიამოვნა, ბატონო რედაქტორო, რომ ისეთს საყურადღებო წერილს, როგორიც არის სტატია ბ. ქვარიანისა, დაბეჭდილი ჟურნალ „მეურნის“ 10 და 11 ნომრებში და რომლის სათაურიც ზემოთ არის მოხსენებული, თქვენმა გაზეთმა მიაქცია ყურადღება და ბ. გ. გვაზავას პირით წარმოსთქვა აზრი მის შესახებ. ჩვენ, უნდა მოგახსენოთ, არა ვართ ამას ჩვეულნი. ჩვენში ყველა თავისთვის და თავისას სწერს და ხშირად თვით მწერლები, რომელნიც მოვალენი არიან ფხიზლად ადევნონ თვალ-ყური ლიტერატურულს და საზოგადოებურს მოვლენათ, არც-კი კითხულობენ, არამც თუ მკითხველის ყურადღებასაც მიაქცევდნენ, სხვათა ნაშრომ-ნაღვაწს. ასეთი ბედი მოელოდა ბ. ქვარიანის საყურადღებო წერილსაც, ისიც უნდა მისცემოდა დავიწყების უფსკრულს, მაგრამ აგერ თქვენმა გაზეთმა აღნიშნა ეს წერილი და მით მიაქცია მას საზოგადოების ყურადღება. უნდა მოგახსენოთ, რომ პირადად მე დიდი მომხრე ვარ ქვარიანისმიერ წარმოთქმულ აზრებისა, მისმა სტატიამ ჩემზედ დიდი,—თითქმის მედგარი,—ზედ-გავლენა იქონია. ასე არ უყურებს ამავე საგანს ბ. გ. გვაზავა, ამიტომ, სასარგებლოდ სიმართლისა, აღსადგენად მართლიერებისა მე ვფიქრობ ურიგო არ იქნება, რომ ამ ჩემს საპასუხო წერილსაც ადგილს მისცემდეთ თქვენის გაზეთის ფურცლებზედ.

მე, ბატონო ჩემო, არა მაქვს ბედნიერება პირადად ცნობისა ბ. ქვარიანისა, არც ვესარჩლები მას, რასაც, ეჭვი არა მაქვს, არც საჭიროებს პატივცემული ქვარიანი. მე მინდა გამოვესარჩლო იმ აზრებს ბ. ქვარიანისას, რომლებიც ჩემს გულის ნადებსაც შეადგენენ, მაშასადამე ჩემს საკუთარ აზრსა და შეხედულობას შესახებ საკამათო საგნისა.

რაგვარი სწავლა უფრო საჭიროა ჩვენთვის?—ეს საგანი ახალი არ არის ჩვენს ლიტერატურაში. ამაზედ ბევრი სწერა თავისს დროზედ „ივერიამ“ „კვალმა“ ბ. ნიკოლაძემ „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზედ. ამავე საგნის გასარკვევად ტფილისის თავად-აზნაურობამ საგანგებო კომისსიაც-კი ამოირჩია. ნაშრომი ამ კომისიისა ცალკე ბროშიურათაც დაიბეჭდა. მასში მსურველი ამოიკითხავს ბევრს საყურადღებო აზრს შესახებ იმისა, თუ „რა გვარი სწავლა უფრო გვეჭირვება ჩვენ“. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ უმრავლესობა და უნიჭიერესნი წარმომადგენელნი ჩვენის ერისა სწორედ იმ აზრებს დაადგნენ, რასაც ჰქადაგებს თავისს წერილში ბ. ქვარიანი,—სახელდობრ მას, რომ ჩვენთვის აწ უფრო საჭიროა სამეურნეო სწავლა-განათლება და სამეურნეო სკოლები.

აკი მოგახსენებთ, ახალი ბ. ქვარიანს არა უთქვამს-რა პრინციპიალურად. ახალი მისს წერილში, ჩემის ფიქრით, აი რა არის მხოლოდ: ისე გატაცებით, ისეთის მხურვალე რწმენით, რომელიც ედება მკითხველსაც, იგივე აზრები ჩვენში ჯერ არავის უქადაგნია. დინჯსა და აკადემიურს მუსაიფში ბ. ქვარიანმა შეიტანა გრძნობა. ის არა მარტო იკვლევს საგანს, არამედ იარაღით ხელ-

ში იბრძვის თავისის აზრის გასამარჯვებლად. ეს, ჩემის ფიქრით, დიდი ღირსებაა წერილისა. ჩვენს გაცვეთებულსა და მოდუნებულს დროში, თუ არ ასეთი ცხარე და გულის სიღრმიდამ ამოღებული წერილები, სხვაფერ ვერ გაადვიძებთ მკითხველს.

თუმცა იმ საკითხს, თუ რა გვარი ცოდნა უფრო გვეჭირვება ქართველებს, როგორც მოგახსენეთ, უკვე თავისი ისტორია აქვს ჩვენს ლიტერატურაში, ბ. გ. გვაზავა მიუხედავად ამისა კადრულობს დაცინვის კილოთი ასეთს მასლაათს: „სათაურმა ბ-ნ ქვარიანის წერილისამ, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა (?) რომელი ცოდნა უფრო გვესაჭიროებაო?.. არა, რომელი არ არის საჭირო?! ყოველი ცოდნა სასურველია ყოველ ცოდნას აქვს თავისი მნიშვნელობა (ნუ თუ მართლა, ბ. გ. გვაზავავ?!) და გამოსადეგიც არის თავისს დროზედ". შემდეგ ბძანებს, არ შეიძლება ეჭვის თვალით არ მიეგებოს მკითხველი ამნაირის სათაურის წიგნაკსაო. რომელი მკითხველი? ის, რომელმაც საკამათო საგნის შესახებ დღეს პირველად წაიკითხა ბ. ქვარიანის წერილები, იქნება ეჭვის თვალითაც მიეგებოს; ხოლო ვინც ადევნებს თვალყურს ჩვენს ცხოვრებას და ლიტერატურას, ის აქ საეჭვოს ვერას ნახავს, რადგან 10—15 წელიწადია აგერ, რაც ჩვენში სულ იმაზედ ლაპარაკობენ: „რომელი ცოდნა უფრო გვეჭირვება ქართველებს". ან ეს რად გინდათ, მაშ არ ითქმის და არც თქმულა, რომელი სისტემა სწავლისა უნდა კაცობრიობას: კლასიკური თუ რეალური? გარდა ამისა, ხომ მოგეხსენებათ, რომ ადგილ-მდებარეობა, ჰავა, ნიადაგის ნაყოფიერება ძრიელ განასხვავებენ ერთს ადგილს მეორისაგან; მაშ არ ითქმის, ამადაამ ადგილას, მის ბუნებრივ თვისებათა სახეში მიღებით, ეს და ეს დარგი სწავლა—ცოდნისა უფრო საჭიროაო? თქვენა ბრძანებთ, გ. გვაზავავ, რომ ყველა ცოდნა საჭიროა და გგონიათ, რომ ორიგინალური და ახალი აზრი სთქვით. ძრიელ შემცდარი ხართ. ყოველი ცოდნა საჭიროა, მაგრამ მიხედვით დროისა, გარემოებისა, ბუნებისა, მცხოვრებლებისა და სხვა მრავალთა პირობათა, საჭირო ხდება ხოლმე „უფრო" ან ერთი, ან მეორე დარგი სწავლა-ცოდნისა. აიღეთ ადგილი ხრიოკი, უდაბნო, ხოლო მდიდარი რკინით, ნავთით, შავის-ქვით. არ შეიძლება განა ვსთქვათ, რაგვარი სწავლა „უფრო" ეჭირვება იქ მცხოვრებ ხალხს?

აი ასეთია აზრიც ბ. ქვარიანის სათაურისა, არა არის-რა იქ უცნაური, გაუგებარი; გარდა ამისა ეს საკითხი არ ახალია; მის საპასუხოდ სწერდნენ-მუშაობდნენ თ. ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე და მრავალნი სხვანი. ბ. ქვარიანი რა შუაშია, თუ ბ. გ. გვაზავასათვის ეს სულ ახალი ამბებია. ბ. რედაქტორო, მე ერთი მოხუცი კაცი გახლავართ, არ შემიძლიან ბევრის წერა ერთხანად და ნება მიბოძეთ, ნაწილ-ნაწილ გავარჩიო პატივცემულის გ. გვაზავას აზრები და ზოგიც მერე მოგახსენოთ.

ძველი ეკალი.

⁂ **ნიგოითი** (გურია). **სოფლელების მოქალაქეთ ჩაწერა.** საწყალი სოფელი ნიგოითი, სადაც მუდამ ჟამს არის შფოთი, სხვათა შორის, ერთი უბედურებაც ეწვია ამ სოფელს ამ ჟამათ. ჯერ იყო და დევნა-გაციმბირება დაუპირეს ამ სოფლისავე სასარგებლო და შეგნებულ პირებს ნიგოითის გავლენიანმა გმირებმა და ამით რომ ვერაფერი გააწყვეს,—ეხლა სხვა ღონეს მიჰმართეს...

საქმის გარემოებაც დაახლოვებით შემდეგია: როგორც ვიცით, ამას წინად მთავრობამ კანონი გამოსცა, რომლითაც სოფლელებს ნება ეძლევათ მოქალაქეთ ჩაწერისა. ამის მსურველი ჩვენს ნიგოითში თითქმის ნახევარიც-კი აღმოჩნდა, რამაც ძლიერ დააფიქრიანა მკვიდრთა დანარჩენი... ამის შესახებ ნიგოითლებმა მთავრობასთან იჩივლეს, რომ თუ ჩვენ, უმისოდაც პატარა საზოგადოებას ამდენი მოსახლე კაცი მოაკლდება და მოქალაქეთ ჩაეწერება, ჩვენ მათ მაგიერ ხარჯის ძლევას, ისედაც გაღატაკებულები, ვერ შევიძლებთო. ჩვენს პატარა საზოგადოებასაც იგივე დიდი საზოგადოების ოდენა გარდასახადი აძევს და თუ რომ მოქალაქეთა მსურველების ხარჯი არ მოგვაკლდება, ვერას მამაოჩვენობით იმათ გარდასახადს ვერ გადვიხდითო და სხვა.

მთავრობამაც ამ თხოვნის შესახებ ნება მისცა სოფლელებს, რომ, თუ თქვენი ნება არ იქნება, არავის არ შეუძლია სოფლის გადასახადი აიცილოს და მოქალაქეთა სიაში გამოიჭიმოსო. ერთი სიტყვით, სრული უფლება გაქვთ ამ შემთხვევაში, როგორც გსურდეთ ისე მოიქეცითო.

მაგრამ, სამწუხაროდ, სოფელმა ეს უფლებაც-კი ვერ მოიხმარა ხეირიანად, რადგან სოფლის მძლეთამძლევ ჭახრაკოსნებმა სხვაფრივ დაატრიალეს საქმე!.. მამასახლისი რაკი ადვილად მიიმხრეს ამათ, შეუდგნენ მარცხენა ხელით პირჯვრის დაწერით ოღმართის ახვნას. მამასახლისს რომ საზოგადო, კანონიერი კრება მოეწვია და ისე შეჰკითხებოდა საზოგადოებას: „გაუშვებთ თუ არა ამა და ამ კაცსო", მაშინ ცუდათ წაუვიდოდათ მოქალაქეობის გარეგნობით მოტრფიალეებს საქმე, მაგრამ ხრიკოსნობა გამოიყენეს აქ, ამ შეერთებულმა გმირებმა და სოფელ-სოფელ დაძალებით და შეშინებით აწერინებენ იმათ ხელს, ვინაც წერა იცის და ვინც არ იცის წერა, იმათ არც-კი ჰკითხავენ არაფერს, მათ მაგიერ ისე აწერენ ხელს...

ამგვარი გაიძვერული „პრიგოვორი" ერთი უკვე გაბათილდა ბოქაულ ბ. ქავთარაძის წყალობით, მაგრამ კიდევ აჯახრიკდნენ ზოგიერთებიც და საქმე ისე მოუწყვიათ, რომ, მგონია, გაიტანებენ ლელოსი..

ნიგოითლები, გაბრაზებული ამ გარემოებით, ერთმანეთს საყვედურით ეკითხებიან: რამ გაგაბრიყვა, ძამიავ, რომ იმ ჩვენს დასაკლავ პრიგოვორზე მოგიწერია ხელიო.—რავა, გინდა ზღვას დაურჩევიარ და გინდა ცვარსო, მწუხარებით უპასუხებს მეორე.—სიცოცხლე თუ არ გინდა, ნუ დაგვიჯერებო—მითხრეს და სახუმბრო საქმეა აგენი რომ მტრათ გადვიკიდო წავხთი?!. კაი ბიჭი ხარ და შენ გაუმაგრდები აი!..

მართლაც, ნიგოითის საზოგადოება მცირე-რიცხოვანია და რომ ბევრმა მოახერხოს ამ სოფლის გადასახადიდან განთავისუფლება და მოქალაქეთ ჩაწერა, ნიგოითის ორი სასწავლებელი, ერთი ერთ-კლასიანი და მეორე ორ-კლასიანი, რომლებიც ძლივს მოაწყო სოფელმა და დიდი იმედიც გვაქვს მისი, მაშინ უნდა დაიკეტოს, რადგან ისედაც ვერ უძლებთ სხვებთან იმის ხარჯს და თუ კიდევ მოგვაკლდა შემწენი, მაშინ ხომ რაღა გვიშველის!... ამიტომ საჭიროა, რომ ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს, რომ დიდი საზოგადოების გარდა მცირე რიცხოვან საზოგადოებებს არ უნდა მიეცეს ნება მოქალაქეთ ჩაეწეროს, თორემ სოფლის ყოველი კეთილი საქმე უკუღმა წავა და განადგურდება!..

გურული.

⁂ **ს. გორდი** (სამეგრელო). **სოფლის მოუსვენარი „აბლაკატები".** ბ-ნო რედაქტორო! ამა წლის „ცნობ. ფურც." მე-219-№-ში მოხსენებული იყო გორდი-კინჩხის გლეხთა მდგომარეობა, რომელიც სრული სიმართლე იყო და საზოგადოებაც მიუხვდა „აბლაკატების" ხრიკებს, მაგრამ, საუბედუროდ, მაინც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა ესეც-კია, რომ „აბლაკატების" რჩევა-დარიგებას ისე აღარ იგონებენ და ვერც მოსატყუებელ გლეხებს პოულობენ, რათა აჩივლონ მოხელეებზე. ამიტომ ეხლა თვითონ კიდებენ ხელს ცრუ საჩივრებს, არ ასვენებენ აჭაურობას. ერთი ასეთი უსაფუძვლო საჩივარი კიდეც მოუვიდა სენაკის მაზრის უფროსს. სოფელში რომ უყუროთ, გაგიკვირდებათ: მოხელე და მოსამსახურე პირებთ ბრძანებით მიმართავენ ხოლმე: „უკეთუ ჩემი საქმე ასე და ასე არ გამიკეთე, ციმბირში ამოგაყოფინებ თავსო, მე თქვენთვის ცრუ მოწმეები არ დამელევაო"!.. რა უნდა ქნან საწყლებმა: მამასახლისი და სოფლის მსაჯულები დიახ პატიოსანი ადამიანები არიან და ისე გამწარდნენ, რომ სამსახურზე თავის დანებებას აპირობენ, მაგრამ ვინ გაუშვებს, ვადა ჯერ არ გასულიათ და ისე ვიღა გაუგონებს. ეხლა ხან ერთმა სოფლის ჭირმა „აბლაკატმა" უჩივლა სოფლის მწერალს სრულიად უსაფუძვლო საგანზე. მერე ვინ არიან ეგ მომჩივარნი. წარმოიდგინეთ, როცა მომჩივარი მამასახლისად იყო, ძაღლების მოსვენება არ იყო სოფელში, ვითომ და სამსახურს ასრულებდა და აწიოკებდა ყველას. დღეს აღარც დაჰკივა და არც ხშირად ძაღლების ყეფა ისმის.

ბ-ნი მაზრის უფროსის თანაშემწის დაუღალავის შრომით მიუდგომელ ადგილებზედ საზოგადო გზა გაკეთდა და ჩვენი სოფელი შეუერთდა ლეჩხუმის მაზრას. მაშინ მამასახლისი ბევრს სცდილობდა მითომდა საუკეთესო გზა აერჩიათ და იჩამჩებოდა, რომ მისი ეზოს წინ გასულიყო გზა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ეხლა ეს ვაჟბატონი ხელ-ახლად სცდილობს კინჩხა-ბორონწინის გაკეთებული გზა დახუროს და კოპიით (ძის ეზოს წინ) გაიყვანოს იგი. ამ უმართლო სურვილზე სამოც გლეხამდის დაიყოლია საჩივარზედ და ამ უბრალო საჩივრით შეაწუხა სამხედრო გუბერნატორიც. ერთი ვკითხოთ, შეიძლება თუ არა გაკეთებული გზა მოისპოს, ხარჯი და შრომა დაიკარგოს და სრულიად არა საჭირო გზა გაკეთდეს? მაგრამ ამის პასუხი იმის სინდისისათვის მიმინდვია. ეს ვაჟბატონი კარგა ხანია სახეში ყავს მაზრის უფროსს, როგორც მავნე და მოუსვენარი წევრი საზოგადოებისა, და იმედია რამე წამალი დაედება ჩვენს გაჭირვებას, თორემ, თქვენი მტერი, ჩვენ შევწუხდით; სამსახურში მყოფთ და სულიერ მწყემსთ ცხოვრება არ შეუძლიანთ. მამასახლისი, მსაჯულნი და მწერალნი მოწადინებულნი არიან ცხრა მთას იქით გადიკარგონ, რათა ამ ვაჟბატონების მზერასა და საჩივრებს მოსცილდნენ, იმათაც ეგ უნდათ, მაგრამ მერე ვინ იქნება? ტყუილი იმედი აქვთ, მღვრიევ წყალში თევზი იჭირონ. ღვთისით, საზოგადოებამ საკმაოდ გაუგო ყოველი „აბლაკატური" ხრიკები და ფანდები. ვერას გაიტანენ, ოღონდ ტყუილად გვაწუხებენ და არ გვასვენებენ.

კან—ინი.

⁂ **ს. მიქელ-გაბრიელი** (გურია). **სწავლა-განათლების საქმე და ბიბლიოთეკის დაარსების გამო.** მიქელ-გაბრიელის საზოგადოება სწავლა-განათლებით ბევრით უკან არის ჩამორჩენილი გურიის სხვა სოფლებზედ, სახელდობრ: ბახვზე, ასკანაზე, შემოქმედზე და სხვა. თავი მიზეზი ამისა ის გახლავსთ, რომ ამ მეტად დიდს საზოგადოებაში, (შესდგება შემდეგ სოფლებიდგან: მიქელ-გაბრიელი, ზედუბანი, ვაკე, ხრიალეთი და სამლთო) არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი სამინისტრო ორ-კლასიანი სკოლა, რომელიც ჯეროვანად ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას. უალაგობის გამო სკოლაში ბევრი ყმაწვილი რჩება უსწავლელი. მშობლებს იმდენი შეძლება როდი აქვთ, რომ შვილები ქალაქში მისცენ სასწავლებლად; ვისაც აქვს შეძლება, კიდეც ზრდის ქალაქის სასწავლებელში, მაგრამ უმეტესი ნაწილი ისეთებია, რომ ამაებს მოკლებულია. მეორე მიზეზი განათლების გაუვრცელებლობისა ის გახლავთ, რომ ამ ხსენებულს საზოგადოებაში არ არის ბიბლიოთეკა, თუმცა ამ უკანასკნელის შენახვა ამ სოფლის მკვიდრთ არ გაუჭირდებოდათ; მხოლოდ საქმე ის არის, რომ არავინ არის ამ სასარგებლო საქმის დამწყები და მეთაური. ვის უნდა დავსდოთ ბრალი ამაში? ჩვენს სოფლის მასწავლებლებს და მღვდლებს; ისინი მუდამ ხალხთან არიან, იმათ შეუძლიან ხალხს ჩააგონონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკას და სწავლა-განათლებას ხალხში. ბევრია მსურველი ამ საქმის სისრულეში მოყვანისა და, იმედია, რომ ამ მოკლე ხანში განხორციელდება კიდეც, თუ ვინმე პატივცემულმა პირმა ითავა. გაზეთშიაც-კი დასწერეს ბიბლიოთეკის დაარსების გამო წერილი, მაგრამ ჯერ სანუგეშო არაფერი ისმის. ვინმე რომ თაოსნობას იკისრებდეს, საქმე მალე გაჩარხდებოდა, რადგან მიქელ-გაბრიელის საზოგადოების მცხოვრები ბევრია საქართველოს სხვა და-სხვა ქალაქებში და ზოგი იმათგანი შეძლებული პირნიც არიან, სრული იმედია, რომ ისინი შესაფერს ნივთიერ შემწეობას აღმოუჩენენ. ერთმა იმათგანმა, რომელიც სცხოვრობს ბათომში, სთქვა, თუ ჩვენს საზოგადოებაში ბიბლიოთეკას დააარსებენ, მე ყველა ქართულ დროგამოშვებითი გამოცემებს დაუკვეთავ და სხვა შემწეობასაც აღმოუჩენო... ამ პატივცემულს პირს სხვები მიბაძვენ და ბიბლიოთეკაც დაარსდება. ვიმეორებ, თუ ჩვენი სოფლის მასწავლებლები და მღვდლები ითავებენ ამ სასარგებლო საქმეს, უეჭველია, ბიბლიოთეკა მალე გაგვეხსნება.

იასონ ზედუბნელი.

⁂ **ქ. ოზურგეთი. სახლის გატეხა.** 4 ივლისს, ღამის 1 საათზე, ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა გასტეხეს სამზარეულო სახლი ხუჭუასი და ყველაფერი წაიღეს სახლის ავეჯეულობიანად.

— **მტრობით გალახვა.** იმავე ღამის 11 საათზე, თავისს სახლში მიდიოდა ბ-ნი მუს—კი, ვიღაცეები დაუხვდნენ გზაში და მწარედ გალახეს. ბ-ნმა მუს—კიმ ყოველივე ღონისძიება იხმარა თავის დასაცველად, რევოლვერიც რამდენჯერმე გაისროლა და კინაღამ მიმავალი და მოსეირნე ხალხი არ დახოცა, მაგრამ დამნაშავეთ ვერაფერი ავნო. რევოლვერის სროლაზე მიეშველნენ ღამის დარაჯები ამბის შესატყობად. დარაჯებს, თურმე, გზაზედ შეჰხვედრიან თვით დამნაშავენი და უთქვამთ: აგერ ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა მ—ცკი ცემით მოჰკლეს და თქვენთან წამოველით ამბის შესატყობინებლადო. ამ რიგად, დამნაშავენი დარაჯებს ასცილდნენ, დღესაც დაეძებენ, მაგრამ ვიღა იპოვნის! საზოგადოდ, ამ ბოლოს დროს ოზურგეთში ძალიან გახშირდა უწესოება.

მეჩანგურე.

სასამართლოს მატიანე.

პორფირე ავალიანისაგან პოლიციელის დაჭრა.

7 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე პოლიციელის სალტიკოვის დაჭრისა ავალიანისაგან. 22 ივნისს, ღამით, უფროს პოლიციელ სალტიკოვთან იჩივლა ერთმა მცხოვრებელმა: არ გვასვენებენ ხმაურობით ავალიანის და ჩხეიძის ლუდხანიდანაო. სალტიკოვმა ღამის სამ საათზედ გაიყოლა თან პოლიციელი დოროგორუპკი და შევიდა ავალიანის და ჩხეიძის ლუდხანაში ავჭალის ქუჩაზედ. იქ მათ დაუხვდათ 5—6 გალექილი კაცი, რომლებიც ქეიფს ეწეოდნენ არღნის ხმაზედ. სალტიკოვმა რამდენჯერმე განუმეორა მეარღნე მუხაიძეს, რომელიც გულ-მოდგინედ აღრიტინებდა თავის საკრავს, რომ მას შეეჩერებინა არღანის ხმა და წასულიყო ბინაზედ. მუხაიძემ პოლიციელის სიტყვა აინუნშიაც არ მიიღო და განაგრძო თავის საქმე. პოლიციელებმა ძალით წაიყვანეს მუხაიძე პოლიციის ნაწილში. გამოიყვანეს თუ არა ლუდხანიდგან მუხაიძე, თან გამოყვნენ მოქეიფენი და აღარ ეშვებოდნენ პოლიციელებს და მუხაიძეს განთავისუფლებას თხოულობდნენ, რაზედაც სალტიკოვი არა სთანხმდებოდა. უცებ ავალიანმა მოუარა წინიდგან სალტიკოვს და გულში ჩასცა ხანჯალი. რაღაც უცაბედი შემთხვევით სალტიკოვი ცოცხალი გადურჩა ამ ჭრილობას.

სასამართლომ დაამტკიცა ყველა მოწმების ჩვენებით ხსენებული ფაქტი. მოწმე დოროგორუპკამ, სხვათა შორის, სასამართლოს აჩვენა, რომ მე იმ ღამეს კარგა ხანს მესმოდა არღანის და მთვრალი ხალხის ხმა

ლუდ-ხანაში, მაგრამ შიშით ვერ შევედი, ვაი თუ მომკლან და სადმე ჩამფლანო! დამნაშავე ავალიანი, როგორც გამოძიებამ და სასამართლომ დაამტკიცა, ამ საქმის ჩადენის დროს რუსულ ტანისამოსში ყოფილა და არა ჩოხაში, რითაც მტკიცდება, რომ მას ხანჯალი წაუღია თან მკვლელობის განზრახვით.

სასამართლომ საქმის განხილვის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც პასუხის მგებელი პორფირე ავალიანი ცნობილია დამნაშავედ, რისთვისაც უნდა გაიგზავნოს ექვსი წლით მადნებში სამუშაოდ, (კატორღაში) ხოლო ღირსების აყრის შესახებ უნდა მოხსენდეს ხელმწიფე იმპერატორს.

სამეურნეო ცნობა.

რომელი პატივი სჯობიან მამულის გასაპატივებლად. ყველა მეურნემ იცის, რომ ყველაზედ უკეთესი პატივი მამულის გასასუქებლად რქიანი საქონლისაა. რქიანი საქონლის პატივი ყოველ ნაირ მიწას მოუხდება, იგი არსწყავს მიწას და დიდხანაც ინახავს მიწას სუქნად. ოღონდ ნეხვი გამოფიტულ და გამომშრალი ნუ იქნება. თუ გამოფიტულია, იგი ყოვლადგვარ ღონისებასა ჰკარგავს და აღარ ვარგა. ცხენის ნეხვი არ ვარგა, რადგანაც ხმელია და ამასთანვე ცხელიც. ცხენის ნანეხვს ოშხივარი ასდის, ხმება და ფუქდება, მეტადრე თუ ცხენს ხორბლეულობას აჭმევენ. თუ ადრევე გახმობამდის გაიტანეს ცხენის ნანეხვი მინდორში, ძალიან გაანოყიერებს მიწას, თუმცა კი გამოაშრობს შემდეგში მიწას. ამიტომ კარგია ცხენისა ნანეხვი სველს მიწებში ჩასაყრელად. ცხვრის ნეხვი ბევრითა ჰჯობს ცხენისას, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ბევრია მასში აზოტი. თუ გინდათ, რომ პატივად ივარგოს, ჩქარა უნდა გაიტანოთ მინდვრათ, მაგრამ ცხვრის პატივი მხოლოდ ორ-სამ წელსა ჰყოფნის მიწას. ღორის პატივს ხომ სულ არ უქნია ღმერთს, ის ამც თუ აპატივებს მიწას, პირიქით, უფრო უმატებს ნაგავსა და ჩიჩქს, მაგრამ თუ მიუმატებთ ცხენის პატივს და ისე მოაყრით მაშინ ძალიან კარგად უხდება მიწას. რაც შეეხება ფრინვლის განავალს, საუკეთესო პატივია მამულისათვის. სასარგებლოა რომ ბოსტანს კვლებზედ წააყაროთ ცოტ-ცოტა, მაშინ ბოსტანი ძალიან კარგს მოსავალს მოგცემთ. ჩვენში საზოგადოდ ბოსტნებში საქონლის პატივს აყრიან ხოლმე კვლებს და საქათმოებში კი აუარებელი ფრინვლის განავალი რჩება. ას-წილ უფრო უკეთესია ამ შემთხვევაში ფრინვლის განავალი.

კაცის განავალი. სწავლულებმა გამოიანგარიშეს, რომ ყოველი კაცის განავალი წელიწადში 1000 ფუთს შეადგენს და ჰღირს ოთხი მანეთიო. თუ ამაფერში იყენებენო ისეთი ოჯახები, რომელნიც ასის სულისაგან შესდგებიან, წელიწადში სულ ცოტა 3000 მანეთსა ჰკარგვენო. ჩინეთში, სადაც მეურნეობა ძალიან მაღლა სდგას, ყიდიან კაცის განავალს გამხმარს გირვანქობით. საინტერესოა ამასთანავე, რომ თუ სტუმარი მიუვიდა ჩინელს იმან პატივის ცემისათვის და გამასპინძლებისათვის, თავისი განავალი უნდა დაუტოვოს სახლის პატრონებს. ჩინელების შეხედულობით, აქ დასაცინი არა არის რა, აქ მხოლოდ ეკონომიური ანგარიშია. ევროპის დიდ ქალაქებში არც ერთი განავალი არ იკარგება. ამისთვის კერძოთ დანიშნული დიდი ქურქლებიაქვთ; როდესაც ქურქელი გაივსება, მიწას ურევენ შიგ და მინდორში მოაბნევენ ხოლმე. კაცის განავალი საზოგადოდ ყველაფერს ძალიან არგებს, უმთავრესად კი ჰარხალს და კომოსტოს—ლახანას. თუ რანაირი სარგებლობა მოაქვს გაპატივებას, ეს მსწავლულმა აგრონომებმა დიდი ხანია დაამტკიცეს. აღმოჩნდა, რომ მარცვალს თავისუფლად შეუძლიან იხაროს ცარიელ წყალშიც კი, თუ ცოტა ოდენი რამ სასუქი მიუმატეთ. ჩააგდეთ რამე მარცვალი შავად გაკრასულს ბანკაში და მაგრად დახურეთ. მარცვალი საჩქაროდ გაიზრდება და გრძლად ჩაუშვებს ფესვებს. ეძებს საჭმელს, მაგრამ რას იპოვნის ცარიელს წყალში და ჭკნობას დაიწყებს. აბა მიუმატოთ ახლა რამე ნივთიერება ძვალი, აზოტი, მაგნეზია თუ მშვენივრად არ გაღაღანდეს და სიცოცხლე არ მოემატოს. ეს იმას ამტკიცებს, რომ უმიწოდაც შეუძლიან იხაროს მცენარემ; თუ საჭირო ნივთიერება უვლის მის ფესვებს.

სასარგებლო ცნობა.

ლოტარიები ტალიაში. ყოველს ქალაქში და თითქმის ყოველს ქუჩაზედ პატარა დუქნები არიან წარწერით: „სახელმწიფო ლატარეია“. იტალიის ხალხი ისე მიეჩვია ამ ლატარიებს, რომ რაც გინდა ღარიბი კაცი იყვეს, იშოვის თუ არა ორ გროშს, მაშინვე ლატარიის ბილეთს ჰყიდულობს. ეს ლატარიები ძალზე მავნებელია იტალიის ხალხისათვის; არა ერთსა და ორს წაუგია მთელი საცხოვრებელი ამ ლატარიაზე თამაშობით. ლატარიის თამაშობა კვირაობით ხდება ხოლმე და ხალხი გულის ფანცქალით მოელის ამ დღეს. ყოველს ლატარიაზედ 90 ბილეთია გასაყიდი, რომლიდგანაც მხოლოდ 5 ერგება მოგება. ლატარიებს იმდენად დიდათ მისდევს იტალიის ხალხი, რომ მარტო სახელმწიფოს მათგანა აქვს ყოველ წლივ 80 მილიონი ფრანკი შემოსავალი.

ყველა ნომერს ცალ-ცალკე სახელი ჰქვიან, მაგალითად 15 ნომერს ჰქვიან „ფინჯანი“, 27-ს „თავი“. ერგო თუ არა ვისმეს მოგება ქუჩის ბავშვები მაშინვე გარბიან და იმ ნომრის სახელსა ჰყვირიან ქუჩა ქუჩა. ყველანი სახლებიდან გარედ გამოდიან, ეკითხებიან ბავშვებს, ვის რა ერგო, და დასარწმუნებლად თითონაც იქითკენ გარბიან... აქვე ასტყდება ხოლმე ლანძღვა-გინება, გოდება ტირილი. ვისაც ფუჭი ბილეთები ამოუვიდათ ყველა მათგანი პირობასა სდებს, რომ თავის დღეში აღარ აიღებს ლატარიის ბილეთს, მაგრამ ორი სამი დღის შემდეგ გული ისევ უბრუნდება და იქითკენვე გარბის სასყიდლად. ქალები უფრო მომეტებულად არიან გატაცებულნი ამ სათამაშოთი. ეს ლატარიის მოგებები ისე უბნევს მათ ჭკუას, რომ აღარ იციან რა ჰქნან, ჰყიდიან რას გაყიდვას კი შეიძლება, ჰკლავენ ქმარ-შვილს შიმშილით, რომ როგორმე ფული შეაგროვონ და კიდევ იყიდონ ბილეთები.

მაგრამ იტალიელი სანამ ბილეთს აიღებს, სცდილობს წინ და წინ მარჩიელს დაეკითხოს თუ რომელ ბილეთზედ შეჰხვდება მოგება. მარჩიელებად უმთავრესად მაწოწიალა მათხოვარა ბერები არიან ხოლმე. შევა თუ არა ამ გვარი ბერი სახლში, ბილეთის ნომერს კი არ ამბობს, არამედ იმ საგანს უცქერის, რომლის სახელის ბილეთსაც მოგება ჰხვდება. დიასახლისიც სწორედ იმ ნომერსა ჰყიდულობს, იგებს მყიდველი. და ბერმაც გაითქვა სახელი, ყველა მას აპატიჟებს და მხიარულად უმასპინძლდება. თუ ვინმე მიადგა, შენ რათ უცქეროდი ამა და ამ საგანს და ტყუილად ეს ნომერი რად ამაღებინეო, ბერი აქ ადვილად იმართლებს თავს: ვისი რა ბრალია, ის ნომერი რად იყიდე, მე სულ სხვა საგანს ვუცქეროდიო. მაგრამ არა ერთხელ მოჰხდება ხოლმე ისედაც, რომ გაბრაზებული ხალხი ბერს პანღურით გააგდებს ხოლმე გარედ. ლაპარაკი არ უნდა, ლატარიებს ცუდი გავლენა აქვს ხალხის ზნეობაზედ, აგრცელებს ცრუმორწმუნეობას და უკანასკნელს კაპიკებს ახარჯვინებს უმისოდაც გაღარიბებულს ხალხს. მთავრობას თვითაც არ მოსწონს ეს, მაგრამ რას იზამს—ლატარიები კარგს შემოსავალს აძლევენ სახელმწიფოს და იტალიის ღარიბ ხაზინისთვის მათი აკრძალვა დიდი დასაკლისი იქნება.

შ. ფრონელი.

წვრილი ამბავი

ჟურნალისტების კონგრესი (კრება). მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქ. სტოკჰოლმში (შვეცია) მსოფლიო გამოფენა იყო გამრთული. სხვათა შორის, ამავე დროს მოხდა ჟურნალ გაზეთების, მწერლების, ჟურნალისტების საერთაშორისო კონგრესი. თვით ქ. სტოკჰოლმმა დიდის ამბით დაუხვდა ძვირფასს სტუმრებს, რომელნიც ყველა მხრიდგან, ყველა ქვეყნებიდგან იყვნენ ჩამოსულნი. კონგრესის წევრებისათვის ქალაქმა დიდ-ძალი ფული დახარჯა. სადგომები საუკეთესო სასტუმროებში მუქთად ჰქონდა ყველა ჟურნალისტებს, მათთვის იმართებოდა მრავალი სადილ-ვახშმები, ნადიმები, სხვა და სხვა შექცევა, სეირნობა, პიკნიკები და სხვა. კონგრესს დაესწრო 330 მწერლობის წარმომადგენელი 20 სხვა და სხვა სახელმწიფოდგან. ჟურნალისტებთა შორის ბევრი ქალებიც იყვნენ. უმრავლესობა, რა თქმა უნდა, საფრანგეთიდგან იყვნენ ჟურნალისტები (73 კაცი), ხოლო რუსეთიდან ერთი ბ-ნი ვასილევსკი სახუმარო ჟურნალის „სტრეკოზას“ რედაქტორი და სხვა მრავალი ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი. ბ-ნი ვასილევსკი ხშირად ჩვენს საქართველოს და ჩვენებურ საქმეებსაც არ აკლებს თავის მრავალ ფელეტონებს. (მისი ფსევდონი ბუკვა БУКВА).

კონგრესი გაიხსნა სააზნაურო საკრებულოში მეფე ოსკარის და მისის მემკვიდრის თანადასწრებით. კონგრესის პრეზიდენტად (თავჯ-მჯდომარედ) არჩეულ იყო ვენის ჟურნალისტი ზინგერი, რომელმაც შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა მწერალთა ამისთანა კრებაზე: და სთქვა, რომ ასეთი საერთაშორისო კრებები აახლოვებს ურთ-ერთან სხვა და სხვა ეროვნებას და მით ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის საქმესო. მეფემ მოკლედ უპასუხა ამაზე, რომ იგი მადლობელია იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოიცხადა ჟურნალისტების კრებამ პირად მე და ჩემს ქვეყანასაო. კრებამ გასტანა 16 ივლისამდე.

კონგრესის დახურვის წინად მეფე ოსკარმა მოიწვია ყველა ჟურნალისტები სასახლეში და საუცხოვო ნადიმი გაუმართა. ვახშამზე მეფე-მასპინძელმა მიმართა თავის სტუმრებს შემდეგის სიტყვით ფრანგულ ენაზე:

„მწერლობა“—ბრძანა სხვათა შორის მეფემ, ჩვენს დროში ერთი უპირველესი ძალ-ღონეა და სანამ მწერლობას ეხსომება ამ დიდ ძლიერებასთან დიდი პასუხის მგებლობაც ამ ძლიერობის გამო, უეჭველია, რომ იგი შეადგენს ერთს უდიდეს სიკეთეს კაცობრიობისასო! მერე მეფემ დასძინა, რომ შვეციაში მწერლობას ჩემზე უმეტესი თავისუფლება აქვს და იგი თითქმის ყოვლად შეუფერხებელიაო, მაგრამ სიყვარული თავისუფლებისადმი ყოველთვის ძმურად და მეგობრულად იყო ჩანერგილი შვედელთა გულში კანონების პატივისცემასთან და თავის მეფის ერთგულებასთანაო. შვედელნი, ძველი ვიკინგების ძენი, რომელნიც ერთს დროს შორეულ ქვეყნებშიაც აფრიალებდნენ თავის გამარჯვების დროშას, დღეს არ ნატრობენ სამხედრო სახელს და ძლევას ვისზედმე, არამედ ემსახურებიან განათლების და მოქალაქობრივის გარეგნობის განვითარებას და გავრცელებასო; ასეთი განათლება, ასეთი მოქალაქეობრიობა თავდებია იმისა, რომ სხვა და სხვა ერნი დაძმობილდებიან და ერთს კაცობრიობას შეადგენენ ბოლოს და აი უმთავრესად ეს არის მიზეზი ჩემის სიხარულისა, რომ დღეს ყველა ერის წარმომადგენელთ აქ გხედავთ, ჩვენსას. დარწმუნებული ვარ რა თქვენს თანაგრძნობაში, სიხარულით ვსვამ ჟურნალისტების მეოთხე საერთაშორისო კრების სადღეგრძელოსო!“ ამ სიტყვამ, თურმე, დიდი ზედ-გავლენა იქონია ჟურნალისტებზე და ყველამ ერთხმივ ვაშა, ვაშა შესძახეს რამდენჯერმე.

მეხუთე საერთაშორისო კრება ჟურნალისტებისა შესდგება ქ. ლისაბონში (პორტუგალიაში).

ნუ თუ ჩვენი მწერლობა არ მოესწრობა იმ ბედნიერ დღეს, რომ მისი წარმომადგენელნი დაესწრონ მეხუთე კრებას? ჩვენ გვგონია, რომ ეს სურვილი ოცნება არ უნდა იყოს: საჭიროა მხოლოდ დიდ სურვილთან დიდი გარჯა და მეცადინეობა, მაშინ შეუძლებელიც კი ადვილი საქმეა... ეხლაც ვერავის თვალში ვერ შევრცხვებოდით, რომ ჩვენც, ქართველებსაც გვყოლოდა ჩვენი მწერლობის წარმომადგენელნი სტოკჰოლმში: ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, მართალია, ენა არ იციან, მაგრამ ნიკო ნიკოლაძე რომელ ევროპიელ ჟურნალისტს ჩამორჩებოდა!..

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისით, გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივი გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივი გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივი გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუალამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

ცნობილის ფაბრიკის
როიალები
პიანინო
ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.
ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузин
Дворянства.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნი